

წიგნების მწიგნობარი დაპირდაპირით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავს

## დაპირდაპირით უთქვამს, სწორია!

გამოგვიცხადეს, გვასწავეს, გვაცნობეს სიტყვა ძლიერი!

ან რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?  
ავს თუ ავი არ უნოდო, კარგს სახელად რა დავარქო?

კარგს კაცს ვითარ დაუკარგო, რაც რამ სიკარკაცე აქო?  
ავს კაცს კარგი ვით უძებნო, ორმოს ჩამსვა, თავს დამარქო?!

ნდომა ბნელს ნათლად აჩვენებს, დანაბრმობს ნათლად  
მხედველსა;  
ნდომა მხრდალს გაჰხდის მამაცად, შებედავს ძნელს  
საბედველსა;

ნდომა სხვის სწავლას მიიკრავს ეგრეთ, ვით ცერცვი კედელს  
ნდომა მიიყვანს მიმყოლსა შესარცხვენს, წარსაწყმედელსა!

სჯობს მარგალიტსა, ოქროსა, ვერცხლსა!  
კაცი არ ვარდეს სირცხვილის ცეცხლსა!

ამად სძრახვენ, ვინც ავს ჩადის, კულავ აღარ ჩაიდინოს;  
სხვა გაფთხილდეს, მისებრ ცრემლი თვალთა არეინ  
ჩაიდინოს.

კაცმან უნდა თავითგანვე საქმე კარგა მაიხდინოს,  
თორემ ბოლოს ვით იქნების, ავზედ ძრახვა დაიცდინოს?

ვინც რომ ძრახვას თავილობდეს, ნურასა იქს საძრახავსა!

პირს-ფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო.  
სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავაზარგო;  
ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის წაცვლად ძეძვი  
დარგო,

მაზე სული არ წარესწყმინდო, რა გინდ ხორციით დავიკარგო

ზოგს კაცსა საკმლად მიუჩანს თვისი სიმყრალის სუნება  
რაგინდ ბევრს ავსა შვრებოდეს, არა აქვს მისი წუნება.

ამას ვსწყინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ;  
ბაძით მორცხვიც გაურცხვდების, უსირცხვილოს თუ  
არ არცხვენ!

ორგულთა სიტყვას ნუ ისმენ, გაფთხილდი ნუ მოსტყუვდები.  
გასწყერ, დასჭერ და დაწივე მტყუვანთ ტყუილის გულები!

გირჩევ, ნუ აქცევ ზღუდებსა შენს ზურგის მისაყუდებსა!

რაგინდ რომე კაცმან მალოს ჭირი თავსა არ დამალავს,  
ვერ გაუძღვებს, რაც კაცს სენი გულსა უკოდს, სჩხვლეტს  
და მსჭვალავს.

სხვის არ მკრძალავს რად ემდურის, ვინც თავის თავს  
არა მკრძალავს?

თვით ვერ ხედავს, სხვის საჭვრეტლად, თუ არ უნდა,  
პირს რად მკვალავს?

კაცს მართებს დაბლაც დახედვა, რაგინდ მალლამდის  
აროსა,

სიამპარტავნით ხარისხსა ძირი არ განებძაროსა.

ბრძენმა არ უნდა იკადროს ურიგო რაც რამ ფერია,  
ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია!

იყავნ შენ გულ-მართალია, როგორც რომ სამართალია!





**ვის რა ათქვამინა გუკავიშვილმა**

ჯანთაგან თვისი აუზი საზარლად საზნელია.



არც ხვენწით, არცა ქრთამითა,  
არცა ხმრლით მოიგერების.




რაც მათ მეუბრათ,  
არც ის დაეფარათ,  
გამოუმუღვენდათ.



ღმერთო, გეაჯები,  
წყლით სახსე გეაჯები  
შენ მომაშველე!



უთხრა: „არ გაგცემო,  
თუ რასმე მამცემო!“



მე შენ რასაც გთხოვ სახსრადა,  
იმას მომცემდელო!

- **კარკოვენსაკუთრას:** ყველა ისევ მერთმევიან, რაც მაქვს ღვთისგან ნაბოძები; ცა ქვეყნიურთ ლექცევიან, უცვდებიან მას ბოძები!
- **მოფხვექალს:** უძღებებამან რა მიყო, ხედავთ ამ ჩემსა შოვნასა!
- **შეპრთაშვს:** როცა დავკადი, ჭკვას მაშინ შავსცდი, ამაზე წაეხდი, მცნებას გარდავხდი, როგორც ვიგეშე, ეგრეთ ვიგეშე!
- **ქონებაკოვნისკამიქონილ კოვინაშორს:** სრულად წამერთვას ქვეყნადა, მე მაქვს რაც ნივთიერი!
- **ხილის წვენების ფალსიფიკატორს:** ყველა მწარედ გარდამექცა, რაც რამ გკბილად დამელია.
- **უაწონოდ მიღებული ბინიდან გაქოსახლეაქალს:** მამო, თავსა მფარავი დაგედგა კარგი კარავი, განიარი და მალა-ლი, ხელთაგან მიუკარავი, შიგ ვიყავ, სადღაც გამაგდე, პალური ამამქარ ავი, მით ცრემლი ჩემი ზღვად გახდა თვალთაგან ნაწან-წკარავი!
- **ანონიფარი ნარილავის ვეფთხეველს:** მომხსენებელი არ მრჩების, მაშფოთებს, ეს მალონებსა; ცოდვის მუხრუჭით შექ-რულსა, ვამე, ვინ მამიფონებსა?
- **სასჯელმოსდილ გამფლანგველს:** ღმერთო, შემინდე აწ ჩემი ნაქნარი ცოდვა და ბრალი, შორს განმარიდე ურიგო მე საქმე ფინითი და მყრალი!
- **სარკვიზიო აგვუვის ვეფთხეველ უფროსს:** მე წილს ნულარას დამიდებ, რაც შენ მუნით წამოილო!
- **შეკვეთის ვიფლავი ორგანიზაციის უნიათო ხალგა-ღვანელს:** რაც მე იმან შემეიკვეთა, მე ის არ მეკეთა; მომიოხრა რაც საქნელადა, ყველა მეჩვენა ძნელადა!
- **შეაქვარს:** ვით იქნების ჩემი ცხოვრება? — ზაკვით სახსე მაქვს მე გონება!
- **გაქრტიქაველ ველიორატორს:** დღეს რაც საზარელი სიგყვა მაისმინა ჩემმა ყურმა, ეს სულ წყალში ჯდომამ მიყო, სიარულმა ბაყაყურმა!
- **ქრავიდან გაპარულს:** გავეპარე, დამიჭირეს; რად წახ-ველო, დამბალურეს.
- **შინაბერას:** მე საწუთრომ ბერწოვნება მომახვედრა თავში კობლად! — ამისთვისა ვარ მოწყენით, ვსგირი და არ მემღერების.
- **დაქარილ ბრაქონიარს:** ვა, შემრჩა ცულსა მეთევზეს უბრალოდ წყალთა მღვრევენი.
- **ჭიკვეული სოლის აატროს:** გული მოშავა, ვითა ნახ-შირი, გამაყრევირა თავზე თმა ხშირი, პირი დამიჭკნო, ვითარცა ჩირი, დამაშვებინა დაღმა ჩიჩვირი.
- **ბრაფოშან პოეტს:** მე ამ წიგნის გამლექსველი, გვინთა მფანგველ-გამქსაქსველი.
- **კლავინატორს:** გეაჯები, რომ შემინდო, მე ვისაც რამე მოვპარე!
- **სრუვესნიარს:** ამაღ არ ვღუმებ, ვრიგორობ გონება-სიბრძნე მცირითა.
- **ღვინის დამალავალ თაშადას:** დალივე გულითა, არ წვრილად კულითა, თას-ყანწ-კათხ-სირჩით!





რად მიზღვე ნერასა?  
ვაი, შენს ნერასა!  
რა ცუდად შვრები!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ამად დაგქრთამეთო,  
გასვით, გაჭამეთო,  
რომ დაგეფარა!

## ვისზე და რაზე რა თქვა ბურაბიშვილმა

**გართალს ვიგყვი, შვიკინეგი გყუილისა ჟოაგა რად?**

**ვაიას უკვბ საკაგელთა, უფერულთა პირ-საფარად.**

- **ნეგატივიზმის პერიოდზე:** შეიქნა დიდი მგერობა, თქმა ერთ-მანერთის ძვირისა, ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა!..
- **ყოფილ მაღალი თანამდებობის პირზე:** ოდეს ხელმწიფედ, მეფედ სვიანად გახდა, განმსხვილდა ძირ-ფესვიანად, — ქვეყნის ნაყოფი ჭამა, გასუქდა, ყოვლი სამძიმო განუმსუბუქდა. თავზედ დაესხა სიხარბით რეტი, კიდევ მოუნდა სხვა მაზედ მეტი! ქვეყნად ყოფნასა აღარ დასჯერდა, მაღლა ზეცადა აღსვლად შემზერდა. ბევრნი ბევრს რასმე იგყოფდნენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა? მეფე იყო და ბრძანებდა, იქმონდა, რასაც ინებდა!
- **მოსხნილ და დაპატიმრებულ ხელმძღვანელებზე:** უსამართლობითა, არ გულ-მართლობითა განსრწნეს ქვეყანა!
- **დასჯილ მექრთამეზე:** მან აღიშენა სამყოფი, ბნელ, საუკუნო ცეცხლისა, სიხარბით ნათლად ვერა სცნა შარავანდედი მზე ცხლისა.
- **„კანონიერ“ ქურდზე:** ამად შემძულდი, ყოფილხარ ცული, მგყუანი, მრული, მპარავი, ქურდი!..
- **საქმოსანზე:** როცა პაგარას იშოვნის, მერე დიდს მაეკიდება.
- **რენეგატზე:** მე გაჭმევდი, მე გასმევდი, მე გაცმევდი განთ, შენ დახარბდი მცირეს ძღვენთა, სხვისგან მონატანთ!
- **დაჭერილ კომბინატორზე:** გამოაჩინა ბოლოს დროს ფარული დანაკრძალები.
- **დემაგოგზე:** არ შინჯავ ავსა და კარგსა, უმზავსოს სიყვავებს იგყვი!
- **ცილისმწამებელზე:** გაბასრული ხარ მწიკვლითა, აროდეს განირცხები, ვინც რომე შენა გეხების, ფისივით ზედა ეცხები!
- **სეკვატიკოსზე:** რაც თვით არ მოსწონს, მის მეტსა აღარას მოიწონებსა.
- **მუქთახორაზე:** უქმად ბევრისა მჭამელი გაუმადლარი ღორია: ყურ-მიმიე, ლაპუმი დაფლული, ზანგი, უღონო ჯორია, თუ ჩაწვა, ძნელად ადგების, თავში რომ სცემო ჯორია.
- **სახელმწიფო დოვლათის დამცავებლებზე:** რაც მოგპარავთო, ვერ დაგიფარავთო ქურდობა თქვენი!
- **პირობით მსჯავრდადებულზე:** ასეთ ცოდვილს ნუმცა გნახავ, რომ გაგირისხდეთ, მაქვს საპყრობილე ასეთი, თუ შიგ შეგაგდეთ!
- **კარიერისგზე:** მან უცნაურმან საცნობლად თავისა ჩენა ინება.
- **სამუშაოს გამცდენებზე:** გულ-მანკიერად შეიქმნენ, ქმნეს სამსახურზედ კლებანი. ზოგიერთს ვისმე შეუნდა ეშმაკის მანქანებანი.
- **ფარისევლებზე:** სიყვით ანგელოზს ემზავსვის, გულით კი ეშმაკ-ფლიდობსო. თავს მოგარჩენებს სიწმიდით, ძაღლივით არაწმინდობსო.
- **დაპატიმრებული საქმოსნის დედაზე:** ძის დასჯისათვის დედასა მიხვდა სახმილის მოდება, შექნა თავს ცემა და გყება, გირილი, მოთქმა, გოდება!..
- **ზოგიერთი კრება-თათბირის მონაწილეებზე:** მეტად უზომოდ გაჯავრდნენ, ვერ გასძლეს გულის ჯავრნია, აჩქარდნენ, ვეღარ გასინჯეს მათ საქმე საშინჯარნია.
- **ხულიგანზე:** მაშინვე ქვეშ ამოიდებს, ვისაც რომ დაეძგერების.

- **სპეკულანტზე:** რაც ხელთ აქვს, მასაც დაჰკარგავს, უმზავსო საპოვნელია: საქონელისა შემკრები საქმე და საცოდნელია.
- **ორპირზე:** ვინც მოგენდობის, არ ინდობ, არა გაქვს ერთი პირია!
- **ვაჭრობის ზოგიერთ მუშაკზე:** სწორეს ადლსა და სასწორსა ხელში არ ამრუდებდესა.
- **მოშურნეზე:** თვით კარგაკაცობა არ ძალუცს, სხვისა შურს კარგი კაცობა.
- **ვალდებულების ვერშემსრულებელზე:** თუ ამ საქმეს ვერ გაზრდიდი, გიჯობდა რომ არც კი გეშო!
- **ჭორიკანაზე:** ავს ნუ აუბნებ ენასა!.. ნუ ხარ გულ-ზაკვარი!
- **გაყოფიერებულ ხელმძღვანელზე:** არას კაცსა არ კადრულობს, ამპარტავნობს და გულდიდობს.
- **ზარმაც მშენებლებზე:** ნუ გაიძნელებთ ასაშენებლად, გარს ნურას უზამთ დასამშენებლად!
- **გაუმადლარზე:** არ ასცილდების დაცემა უფთხილოდ გზაზედ მარებსა; უზომოთ ბევრის მჭამელსა სიმადლრით გულს დასძმარებსა.
- **სოფლის გამოუსწორებელ თავკაცზე:** სოფელს ერგო და სოფელთი თქვეს: „მრუდია, არა სწორდება!“
- **ლოთ უფროსზე:** აღარ ასხოვნდის სიმთვრალით ხელში მირთმევა არზისა, მით სამართალი დაფასდის ცხრა ქანქრად ცხრა აბაზისა.
- **ერთგომეულის გამოცემისთვის მებრძოლ გრაფომანზე:** ვინ წაიკითხავს გრძლად შენს ნაწერსა, სულ გაგინებენ თეთრს უღვაშ-წვერსა: მაგ წიგნს გიწუნებენ, არად ირწუნებენ შენსა ლაპარაკს!
- **ნაგვის მანქანაზე:** შენის ვერ ხილვის სევდითა სულსა რასთვისა მანქონა?
- **გაუბედავ მუშაკზე:** აწ ნუ ხარ გაუბედავი, გიჯობს, გაბედეთ!
- **ღვინისმკეთებელზე:** წყალი ღვინოდ განაბადაგა.
- **სტილიაგაზე:** ნუ ხვალ გზასა უკეთურსა, ნუ გარდიქაჯეთ!
- **ვაი-კრიტიკოსებზე:** ერთბაშად ფრინველთ უწოდენ შავარდენსა და ძერასა: არ სჩხრეკენ ყვავთა ჩხავილსა, ბულბულთა გკბილად მდერასა, ფარშამაგისა შვენებას ბუკიოგისა ბღვერასა!..
- **უხარისხო ბინების მიმღები კომისიის წევრებზე:** ნახეს და ვერ დაინახეს იმ ბრმითა თვალ-ახმუდითა.
- **შარახვევიაზე:** დაეხეგები ურიგოდ, აგიმჩერია თავია, წინ არ იხედავ, არ შინჯავ, გზა კარგია თუ ავია!
- **წინდაუხედავზე:** იცყვი: „რა უყავ ჩემს თავსა!“ — დაიწყებ კბილთა ღრჭენასა.
- **ზოგიერთ საავადმყოფოზე:** ვაიმიე, გულო, დაგულო, რა მწარედ გაიხუხები!
- **ბაქიაზე:** დასაბაქველი მბაქველმან არც ვერე უნდა ბაქოსა.
- **ვაი-მშენებელზე:** ამად არ მშენი, არასფრად მშენი, იქვეის შენი ნაგებ-ნაშენი!
- **სასწრაფო დახმარებაზე:** ვამე, დავიწვი, მიშველე, ღმერთო, მომხედეთ!







# „სწავლა მოსწავლეთა“

(პ ა რ ო დ ი ა)

ისმინე, სწავლის მძებნელო, ნუ სდევ დავითის მცნებასა:  
გამოგატვირთონ კითხვისგან — ნურავის მისცემ ნებასა!  
დროულად შინ დაბრუნებას არჩევდე დაყოვნებასა!  
მამის უჯრიდან ანაპნულ „მარლბოროს“ გაბოლებასა!

არც წერის დავიდარაბა, არც თემის ზუთხვა არ გარგებს!  
დედის ნაწერი გერჩიოს დის გადაწერილ „შპარგალკებს“!  
დედის დანერილ „შპარგალკებს“ უფალი ღმერთი შაგარგებს!  
ნიშანი „ერთი“ — ასამე! ნიშანი „ორი“ — აკარგე!..

დედა ნიადაგ სკოლის წინ იდგეს, ვითარცა სტატისტი,  
ხმალამოლებით მებრძოლი ხუთიან ატესტატისთვის!  
მამა — იგიცა მებრძოლი! გარნა მებრძოლი სტავისთვის:  
— „მრცხვინია, მაგრამ განუხებთ უნიჭიერეს ბავშვისთვის!“

ძღვენი უნდა და რა ძღვენი ატესტატს, თუნდაც ოთხიანს!  
ძღვენს გამოაწყობ — გოჭ-ქათამ-მწვად-ნამცხვარ-ღვინო —  
„ვოტკიანს“!

თორემ ატესტატს საშიანს აქეთ-იქიდან მოდგინან,  
და, გინდაც ბევრი ეცადო, კარტოფილივით მოთხრინან!

პროტექტორები დაჰყავი ძირითად-სათადარიგოდ:  
ნანილმა — უნდა მისწეროს! ნანილმა — უნდა დარეკოს!  
ნანილი — უნდა წამოგყვეს! (ფეხის ათრევა არ იყოს!),  
დარეკოს: ზარი რა გახდა, — ერთი პატარა ზარიკო?!

წრეს ვერ გაიჩენ რჩეულთა, თუ ღვინო რჯულზე არ ისხი!  
დუმბილში „ხუთს“ რომ გინერდა, მან დაგინეროს ხარისხიც!  
თქვი კათედრიდან, მთავარი — ნიჭი რომ არის გარისკვის!  
რა სწავლული ხარ, თუ პალსტუხს შენივე ხელით არ ისკვნი?!

გარდატეხის ასაკი გაქვს? — მშობლებს ვერც ეს ვერ გატეხავს!  
ვერცა—ჯინსი!—ქართლის ჭირი! (დავემსგავსოთ ლამის ტენასს),  
იცვამ „ვრანგლურს!“ იცვამ „ლევისს!“ ადგენ ჯინსის კარტოთეკას!  
არ ჩავეიცვამ მე მაგ შარვალს!“ „რატომ, შვილო?“ „მორჩი ტეხავს!“

დედიკონას დავარცხნილი ადექი და დაღმა ვარცხნე!  
მანამდე არ მოისვენო, სანამ უცხო ზეთებს არ ცხებე!  
ვერა ხედავ? არ დასდევენ არც თანამდებობას, არც ხნეს:  
ერთნაირად კეკლუცობენ, ყველა ტაბუ ერთად ახსნეს!

მოდა უპერანგობის და მოდა უბუსტპალტერობის!  
უცხო „შმოტკით“ ამოავსო უნდა შენი გარდერობი!  
ჩვენს, მშობლიურს, ლბილ აბრეშუმს ხამს გერჩიოს მართ ვერობის!  
მერე რა, რომ ზოგჯერ ამას სუნი ასდის მათხოვრობის?!

სწავლის ძირი მწარე არის, სიბერეში გატკბილდების!  
იმღერე და იჭიკჭიკე! — პატივს სცემენ ხმატკბილ დებილს!  
მტკიცედ იდექ! — სატირალზე ნურასოდეს ატირდები!  
ნურც ნურვისთვის ნუ იცოცხლებ, ნურც ნურვისთვის ნუ მოკვდები!

გენაცვალეთ, — გატენილი ვისაცა გაქვთ თავი თივით!  
შემოგველეთ, ვინც დავითის გზას არ მისდევთ დავითივით!  
არც კი ვიცი, ასეთები ბევრი მივით, ცოტა მივით?!  
თქვენი ქება საკადრისი არც კი ვიცი, შევძლო მე ვით!..

ტია-ტია





# ლაპით გუკაიუზილის ბარათი ლაიუსკანელს

რამდენ ხშირად დამისმრებია შორს მყოფს მცხეთის გორისუბანი, მთლად საგურამო და ჩემი ლამისყანა, სად მრავალნი დღენი ვიყავ ხიზანი იმ ამტყდარ შიშინობა-სა. თქვენთან მოვყავარ გასისმრებული მოგონების გზებსა. ამჟერად, ალბათ, უფრო გამიიოლდება ანდევად სიარული, რაკი ასფალტი დაგვივით იგოეთიდან იმ წყარომდე, მერომ ვიყავ უკანასკნელადა და ახლა „დავითის წყარო“ დავირქვევით.

ხიზრიკობას ვიყავ ხიზანი თქვენს სოფელსა, შიმშილისა და შიშინობის უამსა. ქალჩადონი სოფლისიანი მხალ-ბალახეულობას ეტანებოდნენ, კაცნი მინდვრად გასულნი, იმედით შემხაროდნენ ადრეულ ჭეჭილსა და გაჰყვიროდნენ იმედიანათა „ლამის ყანააო“! ამით ამშვიდებდნენ დამშეულ ჯალაბსა.

ახლა კი რის შიში, რომელი შიმშილი! განგან გაგიწევიათ სოფელი, ბალ-ვენახებში ჩაგიდგამთ ოლა-სახლები. ვაწი გაგიხარებით სარწყავი არხებით დაკვალულ მინდორზედა.

იმაზედად ვიცან თქვენი სოფელი, რომ ხელუხლებლდ შემოგრჩენიათ ერისთავიანთ და ორბელიანთ ძველისძველი სახლები, გამდიდრებულხართ, გაღაღებულხართ, შვილოსან, მაგრამ საერო შენობების აგება გამოგრჩენიათ. აბა, როგორ გეგბის, ერისთავების მოფამფალეზულ სახლში ოთხასამდე ყრმის თავმოყრა და სიბრძნის სწავლება?! ორბელიანთა სახლში კი სააქიმო რამ გაგიხსნიათ!

აკი მითქვამს, ჭკუვა პურია სახითა მჭამელთა შესარგებელი! ვატკობ, ჭკუიანთა კაცთა უპყრიათ ხელთ საღავენი თქვენისა სოფლისანი და იმად ვიტყვი დანარჩენსაცა:

ფრიად მომწონს, რომ ჯამბაკურ-ორბელიანთა სახლიდან ახლა ცალკე ფინურ სახლში გაიყვანიათ ჰაქიმ-დასტაქარნი, თვით იგი სახლი კი მუზეუმად გიფიქრიათ, რემონტი მიგიციათ და ჩემად მოგიკუთნებიათ. დაე, იყოს იგი „დავითიანისა“ და სხვათა წიგნთა კეთილი სავანე! მით უფრო, რომ მაგ სახლსა შინა ადრეც მინახავს მრავალნი წიგნნი ნაწერნი ტყავზედადა ჭილ-ეტრატზედა.

ის უძველესი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერიც მჭერია ხელში, დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი რომ წააწუდა ამ ძველი სახლის დამტვერილ წიგნსაცავში 1913 წელსა, იპოვნა, გამოარჩია და ერის საგანძურს დაუბრუნა.

ლამისყანელ ყრმებზე, სწავლის მძებნელე-ბზე, ბევრი კარგი რამ მსმენია, შეუცვნიათ, სწავლის ძირი რომ მწარე არის, და ბეჭითად ნიპულოიან „დავითის მცნებასა“, მაგრამ ისიც

მიგრძენია გუმანითა, კენწერომდის გასჭირვებით ასვლა, წარჩინებულ მოსწავლეთა რიცხვი თანდათან კლებულობს შკოლის ზედა ჭგუფებშია, თითო-ოროლა თუ შემორჩენილან, რომელთაც თან დახდევთ ცოდნა წარჩინებული უმაღლესამდისა.

უნდა ცალკე ვთქვა ლამისყანელ პედაგოგოსტატთა ქება, რამეთუ მიზნით დაუსახავთ „შემოქმედი მასწავლებლებიდან ამაღლდნენ შემოქმედ კოლექტივამდე“.

ოღონდ მწყვეტს გულსა სასკოლო შენობისა სიძველე და სიმცირე!

აკი ადგილიც მოგიგომავთ ახალი სკოლის-ივისა, ნახაზებიც შეუდგენია განათლების სამინისტროს საპროექტო კანტორასა და მისი მშენებლობა 1981 წლისთვის უოფილა ნავარაუდევი. მერე რაღა დაემართა ამ მამულიშვილურ წამოწყებასა. იქნებ მაცნობოთ დებე-შითა!

მით უფრო დასანანია ეს დაყოვნება, რომ სოფლისა თავკაცი და რაიონის მესვეურნი დია კმაყოფილ არიან მოსწავლეთა გარჩითა. მათ წმ ათას მანეთად ღირებული სოფლის სამუშაენო საქმენი უქმნიათ გასულ წელსა.

აფერუმ თქვენს გარჯას, ყმაწვილნო! ისიც შევიტყე, რაიონში განთქმულ ფალავანთა მთელი გუნდი გყოლიათ ჭიდაობა სამბოში. აფსუს, რად არ მომისწარით ლეკებთან ჭიდილის დროსა?!

ახალჩამოყალიბებული ლამისყანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ღირექცია შეგპირებიათ ბევრი წიგნის ყიდვასა. როცა შეიძენთ, თქვენი პაპის წიგნიც — „დავითიანიც“ არ დაივიწყოთ!

გარჯას გიქებთ, სოფლის თავკაცნო — არჩილ დუდუშაურო და შალვა კურდღელა-შვილო: ჩვილ ყმათათვის ბაგა-ბალი აგივიათ, დიდი კლუბის მშენებლობა წამოგიწყიათ და სოფლის ცენტრიც სანიმუშოდ გაგიმწვანებიათ, მაგრამ „ლეკის ბილიკივით“ ვიწრო ჭურჭესაც მიხედვა უნდა!

ერთი სათხოვარიც მაქვს თქვენთან, ჩემო თანასოფლელებო: ახალ კლუბს რომ დახურავთ, უწინ კინოდ გადაღებული ჩემი თავგადასავალი აჩვენეთ სოფლის მკვიდრთა!

ეს ბარათი რადიოთი უნდა გადმომეცა, მაგრამ გავიგე, სოფელი ჭერ რადიოფიცირებული არა უოფილა და ამიტომ ისევ „ნიანგის“ ფოსტით ვარჩიე მისი გამოგზავნა!

ბარათი კარნახით ჩაიწერა ელგუჯა მერაბიშვილმა



ვითარ აღშენდა, ისე დაიქცა.



გამოსულხართ და დასდინართ, ენაობთ და ჩხუბსა სთესავთ!



საბირისა და იუზორის უბრალი „ნიანი“ ჟურნალი № 20 (1582) ოქტომბერი ბამოედის 1923 წ. ივნისიდან.

## მთავარი რედაქტორი ზაურ გოლძეძაძე

სარედაქციო კოლეგია:

ზაზა ამირაჯიბი  
ნოზლი ბარათია  
ზორის გურგულია  
ნოდარ ლუგაძე  
რეზა თვარაძე  
ჯამალ ლოლა  
ნოდარ მალაზონი  
(მხატვარი-რედაქტორი)

გეგან სინარულიძე  
(პასუხისმგებელი მდივანი)

ალექსანდრე სამსონია  
გილა ფირცხალავა  
ჯანსუღ ჩარკვიანი  
თამაზ წიფჩივაძე  
ზაზა ზანუშვილი  
(მთავარი რედ. მოადგილე)

ნაზი ჯუსოიტი

ტექნიკური რედაქტორი  
მიხეილ კუსლაშვილი

გადამცა ასაწყობად  
23. 9. 80 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად  
30. 10. 80 წ.

ქალაქის ზომა 70x108 1/2  
ფორმატი ნახევრი  
ფურცელი 2  
სააღრიცხვო-საბამოცემლო  
თაბახი 1,7

საქართველოს კ. ც. -ის  
გამომცემლობა,  
ლენინის ქ. № 14,  
შეკვეთა № 2587. უე 00732.

ტირაჟი 150.950.  
ეურნალი გამოდის  
თვეში ორჯერ.  
რედაქციაში შემოსული  
მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი:

380008, თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი, № 42.

ბ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი  
რედაქტორის — 93-62-04, მთ.  
რედ. მოადგილის — 93-19-42,  
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,  
განყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაე-  
ბის — 99-02-38, მდივანი-მეზან-  
ქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический  
журнал «НИАНГИ»  
(На грузинском языке)  
Тбилиси, пр. Густавели № 42.  
Издательство ЦК КП Грузии  
Типография Издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси, ул. Ле-  
нина № 14.

ფანი 20 პაპიკი  
ინდექსი 76137





ქართული  
ნომერი № 786  
16.11.80



— ნუ გაგვიპაღიანდები, დავით ბატონო, და ახლა ქარის ორმო-  
ში ჩაგსვამთ: დაღესტნის ხალხთა ყველა ენაზე მთარგმნით და გა-  
მობცემით, კოოპერაციულ გინეთმშენებლოებაში შეგიყვანთ, „გაზ-  
24“-ს გარუქებთ, რასულ გამგათოვსაც დაგამეგობრებთ!